



№ 13/1199-17



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ

04 ოქტომბერი 2017 წელი
თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე
გიორგი მიროტაძემ
გიორგი კვახაძის მდივნობით,

პროკურორ - ნათია გურულის და
ადვოკატ - ა. შ.-ს მონაწილეობით,

ბრალდებულ - ა. ე.-ს მონაწილეობის გარეშე,

ზეპირი მოსმენით, ღია სასამართლო სხდომაზე განვიხილე ბრალდებულ ა. ე.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვების შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლე გიორგი კერატიშვილის 2017 წლის 29 სექტემბრის განჩინებაზე, პროკურორ ნათია გურულის საჩივარი და

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე :

საქართველოს შსს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდან-ნაძალადევის სამმართველოს მე-10 განყოფილების წარმოებაშია სისხლის სამართლის №XXXXXXXXXXXX საქმე ბრალდებულ ა. ე.-ს (დაბ.: 19XX წლის XX ნოემბერს, კ/ნ XXXXXXXXXXXX) მიმართ.

2017 წლის 25 სექტემბერს ა. ე.-ს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273¹-ე მუხლის პირველი ნაწილით - ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა“-ს ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარების გამო, ჩადენილი ამ დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ (იხ.: დადგენილება პირის ბრალდების შესახებ).

საქმის მასალების მიხედვით აღნიშნული ქმედება გამოიხატა მასში, რომ ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა“-ს ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარებისთვის ნასამართლევი ა. ე., 2017 წლის 12 სექტემბერს, კვლავ იქნა გამოვლენილი ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა“-ს ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარების ფაქტზე.



აღნიშნულ საქმეზე 2017 წლის 29 სექტემბერს, თბილისის გლდან-ნაძალადევის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ნათია გურულმა შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, **ბრალდებულ ა. ე.-ს** მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით გირაოს გამოყენების მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლე გიორგი კერატიშვილის 2017 წლის 29 სექტემბრის განჩინებით, პროკურორის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა, **ბრალდებულ ა. ე.-ს** არ შეეფარდა აღკვეთის ღონისძიების არცერთი სახე.

პირველი ინსტანციის სასამართლომ, აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდება დაუსაბუთებლად მიიჩნია, რადგან ბრალდებულისათვის ბრალად წარდგენილი ქმედება სასჯელის სახით არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას, ხოლო გირაოს თანხის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლოს აზრით ვერ იქნება მიღებული გადაწყვეტილება აღკვეთ ღონისძიებად გამოყენებული გირაოს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით შეცვლის შესახებ, ვინაიდან მარიხუანას მოხმარებისათვის პირს ვერ დაენიშნება სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ბრალდებულს წინა განაჩენით სასჯელად განსაზღვრული აქვს ჯარიმა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით, რაც არ გადაუხდია, იგი არის უმუშევარი და არ აქვს სტაბილური შემოსავალი. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, გირაოს დაკისრებას, მაშინ როდესაც ბრალდებული მას ვერ გადაიხდის, იქნება ფორმალური ხასიათი და მიუხედავად კონკრეტული ფაქტობრივი და ფორმალური საფუძვლების არსებობისა, გირაოს ან ნებისმიერი სხვა უფრო მსუბუქი სახის აღკვეთის ღონისძიების შეფარდება იქნება ფორმალური.

აღნიშნული განჩინება, თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში გაასაჩივრა თბილისის გლდან-ნაძალადევის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ნათია გურულმა, რომელიც ითხოვს საჩივრის დასაშვებად ცნობას, გასაჩივრებულ განჩინებაში ცვლილების შეტანას და ბრალდებულ **ა. ე.-ს** მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით გირაოს გამოყენებას.

საჩივარში ბრალდების მხარემ მიუთითა, რომ **ა. ე.** წარსულში არაერთხელ არის ნასამართლევი ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენისთვის და დამოკიდებულია ნარკოტიკებზე, რის გამოც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ჩაიდენს ახალ დანაშაულს. ამასთან, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში მოსალოდნელი სასჯელის შიშით და ბრალდებულის არაკანონმორჩილი ხასიათის გათვალისწინებით ასევე არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ის მიიმალება და არ გამოცხადდება სასამართლოში.

საჩივრის განხილვის დროს, პროცესში მონაწილე პროკურორმა ნათია გურულმა მხარი დაუჭირა გასაჩივრებული განჩინების შეცვლას და ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით გამოყენების მოთხოვნას საჩივარში მითითებული საფუძვლებით. პროკურორმა დამატებით განმარტა, რომ არ ეთანხმება სასამართლოს პოზიციას, რომ ვინაიდან სასჯელის სახით არ არის მოსალოდნელი კონკრეტულ დანაშაულზე თავისუფლების აღკვეთა აღნიშნული გამორიცხავს აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენებას. ამასთან, ბრალდებულის წარსული, მისი პიროვნება, დანაშაულის ხასიათი და ბრალდებულის დამოკიდებულება ზოგადად სასამართლოსა და გამოძიების მიმართ (რომ „ვერაფერს ვერ უზამს ვერც ბრალდება და ვერც სასამართლო“) იძლევა საფუძველს დასაბუთებული ვარაუდისთვის, რომ იგი მომავალშიც არ



გამოცხადდება სასამართლოში და საგამოძიებო ორგანოში და მიმალეზა, მით უფრო, რომ მას დანიშნული ჰყავს ადვოკატი სახაზინო წესით სწორედ იმის გამო, რომ თავს არიდებდა გამოცხადებას, ასევე გააგრძელებს დანაშაულებრივ საქმიანობას და ჩაიდენს ახალ დანაშაულს.

ბრალდებულის ინტერესების დამცველმა, ა. შ.-მ განმარტა, რომ ბრალდებულის გამოუცხადებლობა არ არის მიმალვის დადასტურების საშუალება, პროცესში მონაწილეობა მისი უფლებაა, არ არსებობს მიმალვის და ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე და ითხოვს პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინების ძალაში დატოვებას.

სასამართლომ განიხილა საჩივარი, მოისმინა მხარეთა განმარტებები, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს, გაანალიზა ბრალდებულის აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვების შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინების გირაოთი შეცვლის საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შემდეგი გარემოებები:

საკითხის განხილვისას საგამოძიებო კოლეგია ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებით სახეზეა აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის აუცილებელი ფაქტობრივი და ფორმალური საფუძველი, თუმცა მიუხედავად ამისა კონკრეტულ დანაშაულთან მიმართებაში გირაოს ან ნებისმიერი სხვა უფრო მსუბუქი სახის აღკვეთის ღონისძიების გამოყენება სასამართლომ მიიჩნია მიზანშეუწონლად.

საგამოძიებო კოლეგია ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს ზემოაღნიშნულ შეფასებას იმ ნაწილში, რომ მოცემულ საქმეზე სახეზეა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფაქტობრივი და ფორმალური საფუძველები და მიაჩნია, რომ საქმეში არსებული ფაქტებისა და ინფორმაციის (გ. ქ.-სა და ს. გ.-ს გამოკითხვის ოქმების, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 22 ივნისის განაჩენის, ნარკოლოგიური შემოწმების ექსპერტიზის დასკვნის, ა. ე.-ს გამოკითხვის ოქმის და საქმეში არსებული სხვა მასალების) ერთობლიობა იძლევა საფუძველს დასაბუთებულ ვარაუდისთვის, რომ შესაძლებელია **ბრალდებულ ა. ე.-ს** ჩადენილი ჰქონდეს ბრალად წარდგენილი ქმედება. დასაბუთებული ვარაუდი კი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილის თანახმად, არის საპროცესო კოდექსით აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის გათვალისწინებული მტკიცებულებითი სტანდარტი, ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა. შესაბამისად, ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება მოცემულ საქმეზე სრულად შეესაბამება საპროცესო მოთხოვნებს და პირდაპირ გამომდინარეობს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფაქტობრივი საფუძველებიდან.

რაც შეეხება ფორმალურ (საპროცესო) საფუძველს საგამოძიებო კოლეგია აღნიშნავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, აღკვეთის ღონისძიება გამოიყენება იმ მიზნით, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, უზრუნველყოფილი იქნას განაჩენის აღსრულება. ამავ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველია დასაბუთებული ვარაუდი, რომ ბრალდებულის მიმალეზა ან არ გამოცხადდება სასამართლოში, გაანადგურებს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, ჩაიდენს ახალ დანაშაულს.

კონკრეტულ შემთხვევაში საგამოძიებო კოლეგია ყურადღებას მიაქცევს ბრალად წარდგენილი ქმედების ხასიათს, იმ გარემოებას, რომ ბრალდებულის წარსულში არაერთხელ არის გასამართლებული



ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარების ფაქტზე და დღეის მდგომარეობითაც არის ნასამართლევი პირი. კერძოდ, ა. ე. 2013 წლის 14 ოქტომბერს არის გასამართლებული თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ საქ-ოს სსკ-ის 273-ე მუხლით და საპროცესო შეთანხმების საფუძველზე დაუდგინდა პირობითი მსჯავრი, 2014 წლის 24 თებერვალს გასამართლებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ საქ-ოს სსკ-ის 273-ე მუხლით და ასევე საპროცესო შეთანხმების საფუძველზე განაჩენთა ერთობლიობით განესაზღვრა სასჯელის სახით ექვსი თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 2017 წლის 22 ივნისს გასამართლებული იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ საქ-ოს სსკ-ის 273-ე მუხლით და კვლავ საპროცესო შეთანხმების საფუძველზე სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით. შესაბამისად, ბრალდებულის წარსული ნასამართლობები და მისი დამოკიდებულება ჩადენილი ქმედებისადმი, როგორც პიროვნული მახასიათებელი, ასევე მისი ნარკოტიკებზე დამოკიდებულების ფაქტი და დანაშაულის ხასიათი, მიუთითებს ბრალდებულის არაკანონმორჩილ ხასიათზე და ერთობლიობაში ასაბუთებს ბრალდებულ ა. ე.-ს მიერ დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელებისა და ახალი დანაშაულის ჩადენის რეალური და მომეტებული საფრთხეების არსებობას, რომლის გათვალისწინებითაც საგამოძიებო კოლეგიის შეფასებით, აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის აუცილებელი ფორმალური საფუძვლები მოცემულ საქმეზე არსებობს მაღალი ხარისხით. კოლეგია აქვე აღნიშნავს, რომ პირის წარსულში ნასამართლობა ყოველთვის არ მიუთითებს ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეზე, მაგრამ როდესაც სახეზეა ერთგვაროვანი დანაშაულების რამდენჯერმე ჩადენა, თანაც, თუ ეს დანაშაულები დაკავშირებულია ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარებასა ან/და მისგან მომდინარე თანმდევი კანონისმიერი აკრძალვების დარღვევასთან, რასაც ამ შემთხვევაში აქვს ადგილი, უნდა მივიჩნიოთ, რომ დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების რისკის არსებობა არის დასაბუთებული.

რაც შეეხება მიმალვისა და მტკიცებულებათა განადგურების საფრთხეს, იმის გათვალისწინებით, რომ ბრალად წარდგენილი ქმედება მიეკუთვნება ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულს, ხოლო სასჯელის სახით გათვალისწინებულია არასაკატიმრო სასჯელი, საგამოძიებო კოლეგია მიიჩნევს, რომ აღნიშნული არ არის რელევანტური ფაქტორი მიმალვის ან/და მტკიცებულებათა განადგურების საფრთხის შესაფასებლად. მით უფრო, რომ სხდომაზე გამოცხადება ბრალდებულის უფლებათა და არა ვალდებულება. თუმცა ამავდროულად მხედველობაშია მისაღები ბრალდებულის პოზიცია და დამოკიდებულება, როგორც ჩადენილი ქმედებისადმი, ასევე ზოგადად სასამართლოს და საგამოძიებო ორგანოში გამოცხადების მიმართ, რომლის გათვალისწინებითაც საგამოძიებო კოლეგიის შეფასებით ბრალდებულის მიერ სასამართლოსთვის თავის არიდების საფრთხე არსებობს მხოლოდ მინიმალური სტანდარტით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საგამოძიებო კოლეგია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, როგორც ფაქტობრივი ასევე ფორმალური საფუძველი, რის შემდეგაც სასამართლომ უნდა იმსჯელოს კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მიზანშეწონილობაზე და გადაწყვიტოს, თუ რომელი აღკვეთის ღონისძიება უფრო უკეთ უზრუნველყოფს ბრალდებულის სათანადო ქცევას გამოძიებისა და საქმის სასამართლო განხილვის სტადიებზე. აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევა, რომ - ბრალდებულმა არ ჩაიდინოს ახალი დანაშაული, თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, არ გაანადგუროს საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებები და ზეგავლენა არ იქონიოს მოწმეებზე - შესაძლებელია სხვადასხვა სახის აღკვეთის ღონისძიებით, რომელთაგან მოსამართლემ უნდა შეარჩიოს ყველაზე უფრო რელევანტური, ვინაიდან ისეთ ვითარებაში, როდესაც სახეზეა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძვლები, სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ერთ-ერთი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე და არ არის უფლებამოსილი უარი თქვას აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე.



აღნიშნული საკითხის შეფასებისას საგამოძიებო კოლეგია არ იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებას, რომ ისეთი კატეგორიის საქმეებზე, რომლისთვისაც სასჯელის სახით არ არის გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთა, არ შეიძლება გამოყენებული იქნეს გირაო. საგამოძიებო კოლეგია განმარტავს, რომ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძვლები და წესი დადგენილია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 196-206-ე მუხლებით, რომელიც მსგავს აკრძალვას, რაზედაც უთითებს პირველი ინსტანციის სასამართლო (რომ ვინაიდან ბრალდებულისათვის ბრალად წარდგენილი ქმედება სასჯელის სახით არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას, ამიტომ გირაოს გამოყენება დაუსაბუთებელია, რადგან გირაოს არ გადახდის შემთხვევაში შეიძლება დადგეს პირის პატიმრობის საკითხი) ან ამ მხრივ რაიმე შეზღუდვას კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. სხვა საკითხია კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობა, რომელიც შეფასებითა და ყოველი კონკრეტული საქმისთვის ინდივიდუალურია, თუმცა ასეთ ვითარებაშიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ბრალდებულის პიროვნება და მოსალოდნელ საფრთხეებთან დაკავშირებით არსებული რისკების ხარისხი.

საგამოძიებო კოლეგია ასევე არ ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებას, რომ გირაოს დაკისრებას, მაშინ როდესაც ბრალდებული მას ვერ გადაიხდის, ექნება ფორმალური ხასიათი და მიუხედავად კონკრეტული ფაქტობრივი და ფორმალური საფუძვლების არსებობისა, გირაოს ან ნებისმიერი სხვა უფრო მსუბუქი სახის აღკვეთის ღონისძიების შეფარდება იქნება მხოლოდ ფორმალური. ამასთან, ის რომ, 2017 წლის 22 ივნისის განაჩენით დანიშნულის სასჯელი - ჯარიმა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით დღეის მდგომარეობით ა. ე.-ს არ აქვს გადახდილი, ეს ცალსახად არ ადასტურებს მის მიერ გირაოს გადახდის შეუძლებლობას.

გარდა ამისა, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანია უზრუნველყოს ბრალდებულის სათანადო ქცევა და გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება უნდა გახდეს გარანტი, რომ ბრალდებული არ გააგრძელებს დანაშაულებრივ საქმიანობას და თავს არ აარიდებს სასამართლოს. შესაბამისად, მას შემდეგ რაც დადგინდება, რომ სახეზეა აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის აუცილებელი ფაქტობრივი და ფორმალური საფუძვლები, სასამართლო ვალდებულია ბრალდებულს შეუფარდოს რელევანტური აღკვეთის ღონისძიება და არ არის უფლებამოსილი უარი თქვას აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე, არაფექტურობის ან/და მისი შეფასებით შესაძლოა თუნდაც „ფორმალური“ ხასიათის გამო. აღკვეთის ღონისძიება ყოველთვის არის შემაკავებელი ფაქტორი ბრალდებულის ქცევისადმი მით უფრო საქ-ოს სსკ-ის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული დამატებითი ღონისძიებების გამოყენების პირობებში. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ გირაოს გამოყენების პირობების დარღვევას შეიძლება მოჰყვეს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენება და არა მხოლოდ გირაოს თანხის არ (და არა ვერ) გადახდას, რაც შეფასებითა და სწორედ გირაოს პირობების დარღვევის გამო მოსალოდნელი პასუხისმგებლობა (რაც არ არის დამოკიდებული კონკრეტული დანაშაულისათვის მოსალოდნელი სასჯელის სახეზე) წარმოადგენს დამატებით გარანტიას ბრალდებულის სათანადო ქცევაზე და არის შემაკავებელი ფაქტორი მისი სასამართლოში გამოცხადებისათვის თავის არიდებასთან მიმართებაში.

შესაბამისად, საგამოძიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას, შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების არსებობის პირობებში ყოველთვის აქვს ეფექტი და არასდროს არის ფორმალური ხასიათის. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გირაო განისაზღვრება არა მხოლოდ ბრალდებულის ქონებრივი შესაძლებლობიდან გამომდინარე, არამედ, მასთან ერთად ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის ერთობლიობაში მხედველობაში მიღებით, რაც გირაოს თანხის ოდენობის



გადაწყვეტაზე ახდენს გავლენას, თუმცა ის, რომ ბრალდებულმა შესაძლოა ვერ გადაიხადოს გირაო არ არის გირაოს გამოყენებაზე უარის თქმის საფუძველი.

ზემოთ აღნიშნული გარემოებების ერთობლიობაში გათვალისწინებით, მოცემულ საქმეზე საგამოძიებო კოლეგიის შეფასებით **ბრალდებულ ა. ე.-ს** მიმართ აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვება (ბრალდებულის პიროვნების, მისი წარსულის, დანაშაულის ხასიათის, ბრალდებულის ჩადენილი ქმედებისადმი დამოკიდებულებისა და საქმეში არსებული აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის საკმარისი ფაქტობრივი და ფორმალური საფუძვლების მხედველობაში მიღებით) არის აშკარად შეუსაბამო. ასეთ ვითარებაში ბრალდებულის მიმართ ყველა შემთხვევაში უნდა იქნეს გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება და იმ მოცემულობიდან გამომდინარე, რომ ბრალდების მხარის მიერ მოთხოვნილია გირაო, ხოლო უფრო ნაკლებად მკაცრი სახის აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას, როგორცაა თუნდაც პირადი თავდებობა დაცვის მხარე არ შუამდგომლობს, ამასთან არ არსებობს არც ბრალდებულის აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვების სამართლებრივი საფუძველი, საგამოძიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ **ბრალდებულ ა. ე.-ს** აღკვეთის ღონისძიების სახით უნდა შეეფარდოს გირაო კანონით დადგენილი მინიმალური 1000 (ათასი) ლარის ოდენობით, რაც დამატებით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ღონისძიებების გამოყენებასთან ერთად იქნება ბრალად წარდგენილი ქმედების პროპორციული და ბრალდებულის შემდგომი საქციელის სწორად განსაზღვრისათვის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლით განსაზღვრული მიზნებისა და საფუძვლების ადეკვატური.

მოცემულ საქმეზე, აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევა საგამოძიებო კოლეგიას შესაძლებლად მიაჩნია გირაოს გამოყენების პირობებში, რაც სრულად ესადაგება, როგორც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს და მსგავსი კატეგორიის საქმეებზე საერთო სასამართლოების არსებულ პრაქტიკას, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას და გამომდინარეობს შესაბამის პრეცედენტებში განმტკიცებული სტანდარტებიდან.

რაც შეეხება გირაოს თანხის ოდენობას, აღნიშნულთან მიმართებაში, საგამოძიებო კოლეგია განმარტავს, რომ განსაზღვრული თანხა ამ შემთხვევაში არის ბრალდებულის არასათანადო ქცევისათვის რეალურად შემაკავებელი ხასიათის მისი ქონებრივი შესაძლებლობებისა და ბრალად წარდგენილი შესაძლო დანაშაულებრივი ქმედების სიმძიმის გათვალისწინებით. ამასთან, გირაოს არ გადახდისა და გირაოს პირობების დარღვევის შემთხვევაში აღკვეთის ღონისძიების შესაძლო შეცვლის შიში და ფინანსური პასუხისმგებლობა იქნება ბრალდებულის ნორმალური ქცევის გარანტი, ხოლო გირაოს თანხის ოდენობა არის გონივრული იმისათვის, რათა ბრალდებულს (ან მისი სახელით სხვა პირს) შეეძლოს მისი გადახდა ან უზრუნველყოფა, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუსაბამოდ მაღალი გირაოს ოდენობის დადგენა ვერ იქნება გამართლებული, რადგან იგი ვერ უზრუნველყოფს აღკვეთის ღონისძიების მიზნებს, ვინაიდან თავიდანვე იქნება მოლოდინი იმისა, რომ ბრალდებული ვერ შეძლებს გირაოს გადახდას და ამით, ხელოვნურად შევუწყობთ ხელს მისი სამართლებრივი მდგომარეობის გაუარესებას.

ამდენად, საჩივრის განხილვის შედეგად საგამოძიებო კოლეგიის შეფასებით უნდა გაუქმდეს **ბრალდებულ ა. ე.-ს** მიმართ აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვების შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლე გიორგი კერატიშვილის 2017 წლის 29 სექტემბრის განჩინება და ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით უნდა შეეფარდოს გირაო 1000 (ათასი) ლარის ოდენობით, რაც ამ ეტაპზე სრულად უზრუნველყოფს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნებს. ამასთან, გირაოს გამოყენების პირობად დამატებითი ღონისძიების სახით **ა. ე.-ს** მიმართ, საქართველოს სისხლის



სამართლის საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გამოყენებული უნდა იქნეს მისთვის საგამოძიებო ორგანოში პერიოდულად გამოცხადების, აგრეთვე საკუთარი ხარჯით ნარკოლოგიური გამოკვლევის ჩატარებისა და შესაბამისი დასკვნის გამომძიებლისათვის წარდგენის ვალდებულების დაკისრება და მის მიერ მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შემთხვევაში სრული საკონტაქტო მონაცემების გამომძიებლისათვის მიწოდებისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ღამის საათებში დატოვების შემთხვევაში გამომძიებლისათვის (პროკურორისათვის) წინასწარი ინფორმირების ვალდებულების დაკისრება.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

ვიხელმძღვანელებუ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე, 199-ე, მე-200, 207-ე მუხლებით და

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე :

1. თბილისის გლდან-ნაძალადევის რაიონული პროკურატურის პროკურორ ნათია გურულის საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლე გიორგი კერატიშვილის 2017 წლის 29 სექტემბრის განჩინება ბრალდებულ ა. ე.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის ნაწილში;
3. ბრალდებულ ა. ე.-ს (დაბ.: XX.XX.XXXX, პ/ნ XXXXXXXXXXXX) აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდოს გირაო 1000 (ათასი) ლარის ოდენობით;
4. გირაოს შეტანის ვადა განისაზღვროს 21 (ოცდაერთი) დღით - 2017 წლის 26 ოქტომბრამდე. ცნობად იქნეს მიღებული, რომ მოცემულ საქმეზე წინასასამართლო სხდომა დანიშნულია 2017 წლის 26 ოქტომბერს;
5. გირაო შეტანილი იქნას სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს შესაბამის ანგარიშზე - სს „ს. ბ.“, კოდი XXXXXX, ანგარიში №XXXXXXXXXXXX;
6. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ოქმის გაფორმება უზრუნველყოს პროკურორმა;
7. გირაოს გამოყენების პირობად განისაზღვროს და აღკვეთის ღონისძიებასთან ერთად ბრალდებულს დაევალოს - (1) ამ განჩინების გამოტანის შემდეგ განჩინების მისთვის გადაცემის (გაცნობის) მომენტიდან წინასასამართლო სხდომამდე კვირაში (შვიდ დღეში) ერთხელ, დღის საათებში, ანგარიშგების ვალდებულების შესასრულებლად საგამოძიებო ორგანოში გამოცხადება (გამომძიებელთან, პროკურორთან) ამ უკანასკნელის მიერ განსაზღვრულ დროს; (2) ბრალდებულს დაევალოს წინასასამართლო სხდომამდე 7 (შვიდ) დღეში ერთხელ ჩაიტაროს საკუთარი ხარჯით ნარკოლოგიური გამოკვლევა და ამავე ვადაში შესაბამისი დასკვნა წარუდგინოს გამომძიებელს (პროკურორს); (3) ბრალდებულს დაევალოს გამომძიებელს (პროკურორს) მოთხოვნისთანავე მიაწოდოს თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შესახებ სრული საკონტაქტო მონაცემები, ხოლო საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე საცხოვრებელი ადგილის (საკონტაქტო მონაცემების) შეცვლის შემთხვევაში კი აცნობოს დაუყოვნებლივ; (4) ბრალდებულს დაევალოს წინასასამართლო



სხდომამდე (2017 წლის 26 ოქტომბრამდე) არ დატოვოს თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ღამის საათებში - 22:00 საათიდან 06:00 საათამდე პერიოდში გამომძიებლისათვის (პროკურორისათვის) წინასწარი ინფორმირების (ცნობის) გარეშე;

8. განემარტოს ბრალდებულს, რომ მას ან მის სასარგებლოდ სხვა პირს უფლება აქვს გირაოს თანხის ნაცვლად შეიტანოს ფულადი თანხის ექვივალენტური უძრავი ქონება. თუ გირაო დადგენილ ვადაში არ იქნება შეტანილი ან უზრუნველყოფილი ექვივალენტური უძრავი ქონებით, პროკურორის შუამდგომლობით შესაძლებელია გირაო შეიცვალოს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით;
9. განემარტოს ბრალდებულს, რომ გირაოს გამოყენების პირობის ან კანონის დარღვევის შემთხვევაში, გირაო შეიცვლება უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით, ხოლო გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა გადაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში ან თუ გირაო უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით, თანხის ამოღების მიზნით უძრავი ქონება აღსასრულებლად მიიქცევა კანონით დადგენილი წესით;
10. განჩინება შესასრულებლად და ცნობისათვის, გაეგზავნოთ და გადაეცეთ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ შესაბამის პირებსა და ორგანოებს;
11. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მოსამართლე
გიორგი მიროტაძე